№ 45

სახალხო გაზეთი

ხუთშაბათი, 1 ივლისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

* * * *ხელის-მომწერთა საყურადღებოდ* * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ეკატერინე სტეფანეს ასული, მარიამ, თამარ, კონსტანტინე და **ნიკოლოზ** იოსების ასულნი და ძენი მჭედლიშვილები და **ნინო** და **ვანო იმედაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—მეუღლის, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე—ძვირფას მამის, ხოლო უკანასკნელი—სიმამრის

იოსებ (სოსიკო) მჭედლიშვილისას.

გამოსვენება დღეს, 1 ივლისს, (თელავის ქ. საკ. სახლი № 17) წმ. მარინის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (1—1)

შაბათს, 3 ივლისს, დილის ათ საათზედ არგვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდასდილი იქმნება მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი

პილასი მაჭავარიანის, **გიორგი საყვარელიძის ასულის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ მწუხარენი ქმარი მისი **მიხაკო,** შვილი **ვალიკო** და რძალი **ვერა მაჭავარიანები.** (1—331—1)

ღრმად შეწუხებულნი: მღვდელი **ირაკლი ანტონის ძე** და მეუღლე მისი **დარია გიორგის ასული, ბიჭია ანტონის ძე, ივლიანე** და **ანტონ ირაკლის ძენი, მიხაკო ბიჭიას ძე** და მეუღლე მისი **ვარა იოსების ასული აბაშიძენი** ღრმა მწუხარებით მოკლულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველი ორი—ძვირფასი და დაუვიწყარის შვილის, მესამენი—ძმა-წულის, მეოთხე და მეხუთე—საყვარელ დის, ხოლო უკანასკნელი მარად დაუვიწყარის ბიძაშვილის ქუთაისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის მეშვიდე კლასის მოწაფის

მარუსიასას.

მიცვალებულის გამოსვენება მოხდება კვირას, 4 ივლისს, სოფ. ჭალაში, (საჩხერიდან შვიდი ვერსია), შარაპნის მაზრა, ხოლო დაკრძალვა ამავე სოფლის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში (2—1

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოხიარულე ავადმყოფთათვის.

ქსნიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

დამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოველ დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკო ვ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტივი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და [illegible] —2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირაღოვიჩ. ზ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდ პარას. 2—2-ნახ. ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოვ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროსკოპიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ეკ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაყებული. ოპერაცკონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათი. საფასურით. (200—6.—215)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ზ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ზ. ა. პაპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12-1 ს.

ი. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11-12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

([illegible]—6.—376)

ნინო გივის ასული, მღვდელი **ნიკოლოზ** და **მიხეილ ლუკას ძენი, ერმონია, მარიამ** და **სალომე ხიმშიაშვილები** უღრმეს მადლობას უცხადებენ ყველა იმათ, ვინც პატივი სცა წერილობით და პირადათ სამძიმარი გამოუცხადა

დარია ლუკას ასულის ხიმშიაშვილის

გარდაცვალების გამო. (1—332—1)

● ახალი წიგნი ●

რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები

იაკობ გოგებაშვილისა,

ტომი პირველი. დაბეჭდილია უკვე 480 გვერდი, დანარჩენი 80 გვერდი დაიბეჭდება ამ თვის დამლევამდინ. წიგნი დიდი ფორმატისაა: თითო გვერდზე დატეულია 38 სტრიქონი, თითო სტრიქონში არის 50 ასო. თითო წიგნი ჯდება **სამ აბაზად.** ამ ფასადვე მიიღებს წიგნს ყოველი მასწავლებელი, წიგნის მაღაზია და სხვებიც ვინც კი ახლავე დაიკვეთავენ წიგნსა და **ივლისის ათამდე** წარმოადგენენ სამს აბაზსა. ერთად-ერთი საწყობი წიგნისა არის „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. ამიტომ ფული უნდა გამოეგზავნოს ამ საზოგადოების გამგეობას; მისაგანვე მიიღებენ დაკვეთილს წიგნებსა **პირველს ენკენისთვემდინ.** ტფილისის გარეშე გასაგზავნს ფულს იხდის დამკვეთელი. რათა გაგზავნა იაფად დაუჯდეთ, უნდა წიგნი დაიბარონ ჯგუფ-ჯგუფად, პარტიობით. გამოსვლის შემდეგ წიგნი არა დამკვეთელთათვის ეღირება მანეთად. (8—315—8)

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ის მამულები, რომლებზედაც ნედოიმკაა დარჩენილი და რომელნიც ბანკის ბინაზე 17, 19 და 21 ივნისს მომხდარ პირველ საჯარო ვაჭრობის დროს მეორე საჯარო ვაჭრობაზე იქნა გადაცემული,

გაიყიდება [illegible] ივლისს ამა 1910 წელს,

დილის 12 საათზე

ბანკის ბინაზე, ფრეილინის ქუჩა, სახლი ქართველ თავად-აზნაურობისა.

გასაყიდ მამულების სია დასათვალიერებლად გამოკრული იქნება ბანკის შენობაში. (1—6.—1)

ქართველ თავად-აზნაურთა საზაფხულო თეატრი

ხუთშაბათს, 1 ივლისს, 1910 წ. მხოლოდ ერთი გასტროლი პეტერბურგის

ექსპრესიონისტ მსახიობთა ანსამბლის

„თეატრი ძლიერ გრძნობათა აღმძვრელი“ (ეგრედ **წოდებული თეატრი საშინელებისა** და ხარხარისა მსახიობისა და რეჟისორის **ა. ა. პასხალოვის** მონაწილეობით). ყოფილი რეჟისორი პარიზის რუსული თეატრისა, „Grand Guignol“-სა პეტერბურგში, მთავარი რეჟისორი ოდესის თეატრისა „ბი-ბა-ბო“, ყოფილი მსახიობი პეტერბურგის „ახალ თეატრისა“.

ახალი ორიგინალური რეპერტუარი.

განსაკუთრებული უფლება ზოგიერთ პიესების წარმოდგენისა.

წარმოდგენის წესრიგი: 1) „გაზი“ დრამა ემილ ზოლასი, თარ. ა. პასხალოვისა. 2) „საფლავის ქვაზე“ დრამა ანდრე დე ლორდისა. 3) „სასარგებლო საქმე“ თარგ. ფრანგ. ა. პასხალოვისა. 4) „სიროპი“, სამსონისა, კომედია ფარსი გიუ დე მოპასანისა.

დასაწყისი წარმოდგენისა სწორედ საღამოს 9 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (1—1)

მარტყოფის წმ. ანტონის მონასტრის ხაზინადარი აუწყებს მონასტრის მლოცველთა და მოაგარაკეთ, რომ მონასტრის გზა ნორიოს მხარეს—წისქვილებამდის უკვე შეკეთებულია თვით მონასტრის საშუალებით. მონასტერში მისვლა გაუმჯობესებულ-გაადვილებულია. საზაფხულო სახლები თავისუფალია, გაქირავდება ჩვეულებრივ ფასებში. მონასტრის სავაჭრო დუქანიც უკვე გაიცა იჯარით, თვინიერ არყისა. მარტყოფის მხრის გზაც 15 აგვისტომდე დამთავრდება. (2—6.—2)

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი

„ერი და კატოლიციზმი“

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.

ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—10)

მოითხოვეთ ყოველგან

ნამდვილი **ხვარისა** და **კახური** ღვინოები

ჩაჩიბაიასი

იყიდება ყველა **გასტრონომიულ** მაღაზიებში და **სასტუმრო-რესტორანებში.**

უმთავრესი საწყობი იმყოფება ვაგზლის ქუჩაზე № 13.

პატივისცემით **ჩაჩიბაია.**

(20—გაყ.—10)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მიხაკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—97)

ექიმი ბორჯომში ა. ს. ალადაშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის ტერაპევტიულ კლინიკისა იღებს შინაგან ავადმყოფობით სნეულებს დილის 9—12 და საღამოს 5—6 ს., ურუსოვის ქუჩა სახლი ზუბალოვისა. 25—6.—9

ექიმი აბასთუმანში ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი

იღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს. (25—320—12)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი ვაჲ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჰელქიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—6.—7)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ხარაძე—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგუსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

გნუჩკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ხუდაბაშევი—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველ-დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

ტრემბოვსკი—ცხვ., ყელის, ყურისა. 11½—12½ საათ.

მიკირტუმოვი მიხტარიანცის ნაცვლად) დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

ფონდოვევი—ნერვ. და ელექტროთერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

ლიმონი—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—11½ ს.

ი. მ. ახპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—6.—60)

ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი მ. ს. არჯევანიძე ქუთაისში.

იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე საბებიო. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგიელოვისა. (25—გგ.—6)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს. საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—157)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მღვდ ქიქოძის სახლი. (0—უ.—215)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ტფილისი, 1 ივლისი.

როგორც არა ერთხელ გამოგვითქვამს, საერთო საიმპერიო საკითხები რუსეთის საკანონმდებლო ორგანოებს სრულიად განუხილველი დარჩათ. სამაგიეროთ ფეხი დააქირეს „ინოროდცებს“. რამდენი ხანია 17 ოქტომბრის მანიფესტი გამოცხადდა, რამდენი ხანია ამ მანიფესტის განსახორციელებლად მუშაობს რუსეთის საკანონმდებლო ორგანო, მაგრამ საქმით კი ვერაფერი გაკეთდა. ეს კი აიხსნება იმით, რომ 3 ივნისის საარჩევნო რეფორმამ ისეთს ელემენტს არგუნა ქვეყნის მესვეურობა, რომელიც პირდაპირ დაინტერესებული არ არის დანაპირებ რეფორმათა განხორციელებაში. ამიტომაა, იგი რომ ასე მალე ივიწყებს ხოლმე 17 ოქტომბრის მანიფესტს, ამიტომაა, მთავრობასთან ერთად, იგი რომ „ინოროდცებთან“ ბრძოლას ალევს თავის დროსა და ენერგიას. რუსეთის მთლიანობას საფრთხე მოელისო, დასცეს ყიჟინა რეაქციონერებმა. რუსეთის მთლიანობას არავითარი საფრთხე არ მოელის, ხალხის ცხოვრება მოდუნებულია, ეგრედ წოდებული „ინოროდცები“ ჩუმად და წყნარ კულტურულ მუშაობით კმაყოფილდებიან, მაგრამ ისინი, ვინც ახალს ცხოვრებას ვერ შეგუებია, ვისთვისაც სასურველი არ არის განახლებული ცხოვრება, მაინც საფრთხეზე ლაპარაკობენ. ამით რეაქციონერებს მხოლოდ ის სურთ, რომ ელემენტალურ თავისუფლებათა განხორციელება, რაც შეიძლება შორეულ დროისთვის გადაიდოს.

სად არის თავისუფლება სიტყვისა, კრებებისა, სად არის ხელ-შეუხებლობა პიროვნებისა? ისინი რეაქციონურ კანონმდებლობაში ჩაიხრჩვენ, გაილესნენ. მთავრობას არა სურს მათი განხორციელება, და მისი მორჩილი სათათბიროც ხმას არ იღებს, არავითარ საკანონ-მდებლო ინიციატივას არ იჩენს. მთავრობა დანაპირებ რეფორმათა განხორციელების თვალ-საზრისით არ ადგენს ამა თუ იმ კანონპროექტს. იგი სრულიად სხვა მიზნებითაა გატაცებული. მას მხოლოდ ის სურს, რომ საკანონმდებლო ორგანოებით ისარგებლოს, როგორც საშუალებითა და ცხოვრებაში გაატაროს მხოლოდ ისეთი კანონ-პროექტები, რომელნიც ძველ წეს-წყობილებას აღადგენენ და ახალს განხორციელებას შეუძლებლადა ხდიან. რუსეთის საკანონმდებლო ორგანოც ამ გვარ აზროვნებით იმსჭვალება. გარდა მცირერიცხოვან ოპოზიციისა, მთელი სათათბირო ადასტურებს მთავრობის პოლიტიკას და არავითარ ღონისძიებას არ იღებს, რომ ერთხელაც არის უფლებრივ წეს-წყობილების განხორციელების საქმეს საფუძველი ჩაეყაროს. სათათბიროს ხელმძღვანელ პარტიას რომ მართლა სწამდეს ის, რის გარშემოც შეკავშირდა იგი, რეფორმათა განხორციელებას დაეშურებოდა და იმისთანავე აზროვნებით არ გაიმსჭვალებოდა, რანაირითაც თვით მთავრობაა გამსჭვალული. დანაპირებ რეფორმათა შესახებ მთავრობა თუ დაილაპარაკებს ხოლმე, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ რეფორმათა დამახინჯებით თავის საკუთარი მიზნები განახორციელოს და რეაქციონური მდგომარეობა უფრო განამტკიცოს. დანაპირებ რეფორმებს მთავრობისთვის თავის-თავად არავითარი ფასი არა აქვს. ავიღოთ, მაგალითად, ბეჭდვითი საქმე.

ბეჭდვითი საქმის შესახებ დღეს დროებითი წესები მოქმედებს. სათანადო კანონ-პროექტი მთავრობას დღემდისაც არ შეუმუშავებია. როგორც რუსეთის გაზეთებიდან ვიგებთ, მთავრობას ბეჭდვითი საქმის კანონ პროექტის შემუშავება აუჩქარებია. რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, რამ აიძულა მთავრობა კანონ-პროექტის დაეჩქარებინა, საჭიროა გავითვალისწინოთ დღევანდელი მდგომარეობა ბეჭდვითი საქმისა. დღეს „მავნე მიმართულებათ“, გაზეთებსა და საზოგადოთ გამოცემებს ებრძვის გენერალ-გუბერნატორი. სამხედრო წესები მას ანიჭებს ამის უფლებას. იქ, სადაც სამხედრო წესები გაუქმებულია, ეს საქმე სასამართლოს ევალება. დროთა მსვლელობით თან და თან თვით მთავრობაც რწმუნდება, რომ მშვიდობიანობა მყარდება. ამიტომ იგი იძულებული ხდება ნელ-ნელა, მაგრამ მაინც სისტემატიურად სამხედრო წესები ნორმალურის მდგომარეობით შესცვალოს. როდესაც რუსეთში ყველგან სამხედრო წესები მოიხსნება, ბეჭვდის საქმეც, თანახმად არსებულის წესებისა, მთლად სასამართლოს კომპეტენციაში გადავა. ამით „მავნე მიმართულებათა“ მოსპობის საქმე გაცილებით უფრო რთულდება და გრძელდება. სასამართლოს გრძელი პროცედურა კი ვერ აკმაყოფილებს მთავრობას, რომელსაც სურს რაც შეიძლება მალე მოსპოს ხოლმე ის აზრი, რომელიც მას არა სასურველად და მავნებლად მიაჩნია. ეს წესები, რომელნიც მოქმედებენ რუსეთში 1905 წლიდან, მთავრობას თურმე სასურველ წესებად არ მიაჩნია. სასამართლო იძულებული ხდება რამდენისამე ხნის შემდეგ განიხილოს ხოლმე საქმეები, ეს კი ხელს უშლის მავნე მიმართულებათა აღმოფხვრის საქმესაო. ასე ფიქრობენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. ამ საკითხის გამო, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, განსაკუთრებული კომისიაც კი ყოფილა არჩეული, მაგრამ კომისიას მაინც განსაზღვრული დასკვნა ვერ გამოუტანია. მთავრობა კი ძალიან ჩაფიქრებულია. 1912 წელს ახალი არჩევნები დადგება. გამონაგარიშებით პროგრესიულ გაზეთების რიცხვი გაცილებით მეტია მემარჯვენე გაზეთებზე. ამასთანავე თანდათან სამხედრო წესებიც იხსნება, და მთავრობა იძულებულიცაა მოხსნას ეს წესები. მიუხედავად ამისა, მთავრობა გულითაა მოწადინებული, არჩევნებზე გავლენა იქონიოს. ეს კი მას მხოლოდ პროგრესიულ პრესის ალაგმვით შეუძლიან. და აი, ისიც შეუდგა სათანადო კანონ-პროექტის შემუშავებას.

ახალი აქ არაფერია. მთავრობა სისტემატიურად ანხორციელებს თავის მიზნებს. იგი ყოველთვის სარგებლობს მომენტით და კანონ-მდებლობას თავის სურვილებს უფარდებს. გასაკვირველი მხოლოდ ის არის, რომ სათათბიროს ხელ-მძღვანელი პარტია გულ-გრილად უცქერის მთავრობის ამ გამანადგურებელ მოქმედებას და თავის თავს მაინც კონსტიტუციონურ პარტიათ ნათლავს.

მაგრამ რუსეთში რა არ არის მოსალოდნელი!..

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზ. „ზაკავკაზიე“-ში გამოქვეყნებულია თავად-აზნაურთა საკრებულოს ჟურნალი სხდომისა, რომელიც დეპუტატებსა და წინამძღოლებს ბ. ა. ნ. ფურცელაძის ღია წერილის გამო მოუხდენიათ. ჟურნალში მუხლ-მუხლად დარღვეულია ბ-ნ ფურცელაძის ბრალდებანი. ბ-ნი ა. ნ. ფურცელაძე, როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენება, თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილს ბრალსა სდებდა, თავდაპირველად სარევიზიო კომისიის მომხრე იყავით და მერე კი წინააღმდეგი გახდით, მე-9-ე ტომს ამოეფარეთო. ამ ბრალდების შესახებ თავად-აზნაურთა საკრებულო ამნაირ პასუხს იძლევა:

როგორც „ნოვ. რეჩ“-ის მე-127-ე ნომერში დაბეჭდილ სხდომების ანგარიშიდანა სჩანს, საქმე ამნაირად იყო: „თ. ბაგრატიონ-დავითიშვილი წინადადებას იძლევა შეუდგეს კრება სარევიზიო კომისიის არჩევის საკითხის განხილვას. გ. ნ. ყაზბეგი და გრ. დიასამიძე ითხოვენ, ჯერ ანგარიში და ხარჯთ-აღრიცხვა იქმნას განხილული და მხოლოდ ამის შემდეგ გადასწყდეს პრინციპიალურად კომისიის არჩევის საკითხიო. კრება ეთანხმება მათ წინადადებას და იწყებს ანგარიშის განხილვას“.

ეს ფაქტები დამახინჯებაო, დასძენენ დეპუტატთა საკრებულო. ყველაზე ადრე სარევიზიო კომისიის არჩევაზე ლაპარაკი დაიწყო თვით თავად აზნაურთა წინამძღოლმა და მანვე დაასრულა მსჯელობა ამ საკითხის შესახებ. საქმის ვითარებას „ჟურნალი“ ამნაირად გადმოგვცემს:

კრების პირველსავე სხდომაზე (30 მაისს), როდესაც აღიძრა საკითხი ანგარიშისა და ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად სხდომის გადადების შესახებ, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა წინადადება შეიტანა, კერძოთ აერჩიათ რამდენიმე კაცი, რომელნიც დეპუტატთა და წინამძღოლებთან ერთად ფულების მდგომარეობას განიხილავდნენ. ეს წინადადება უარ-ყოფილ იქმნა, და ერთი უარმყოფელთაგანი თვით ა. ნ. ფურცელაძეც იყო. უკანასკნელ სხდომაზე, სამი საათის კამათის შემდეგ, გუბერნიის წინამძღოლმა, გაარკვია რა საკითხი იმ კომისიისა, რომლის არჩევაც შესაძლებელი იყო მე-9 ტომის 1248 მუხლის ძალით, ხელახლად ითხოვა, როგორც გინდათ, ისე მოახდინეთ რევიზია, მხოლოდ ამავე კრებაზე ოფიციალურად ნუ აარჩევთ სარევიზიო კომისიას, რადგანაც ესეთი არჩევა კანონს ეწინააღმდეგებაო; კერძოთ არჩეულ პირებს კი ჩვენ საქმეებს ვაჩვენებთ და ყველაფერს დაწვრილებით ავუხსნითო.

ამის შემდეგ საზოგადო კრებამ სარევიზიო კომისიის არჩევა უარჰყო 26 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ ერთის ხმისა (ერთმაც თავი შეიკავა). „ჟურნალ“-ი ეხება ყარანგოზიშვილისა და გრ. დიასამიძის ინციდენტს, კ. თუმანიშვილს, და შემდეგ გადადის იმ საკითხზე, რომელიც ჩვენც უფრო საყურადღებოთ მიგვაჩნია, სახელდობრ, საფინანსო კომისიაზე.

ა. ნ. ფურცელაძე თავის ფსევდო-ბრალდებებით ისე შორს მიდის, რომ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს აბრალებს, ვითომ მას ეთქვას, თავად-აზნაურთა ქონებას ანაწილებს არა თვით თავად-აზნაურობა, არამედ წინამძღოლიო. შეიძლება ადამიანს ყველაფერი დააბრალოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებული ხართ, რომ აღმოჩნდება ისეთი გულუბრყვილო მკითხველი, რომელიც ამას დაიჯერებს... იმან (ე. ი. თავად-აზნაურთა წინამძღოლმა) სთქვა, თავად-აზნაურთა ქონების პატრონი და გამნაწილებელი თვით თავად-აზნაურობა, ჩვენ—დეპუტატები და წინამძღოლები—თავად-აზნაურთა სურვილების ერთად-ერთი აღმასრულებლებიო. ამ დებულებიდან მან სრულიად ბუნებრივად ის დასკვნა გამოიყვანა, რომ თავად-აზნაურთა კრების მიერ არჩეული კომისია მხოლოდ სათათბირო ხასიათის ორგანო იქნებაო. მხოლოდ ამ მოსაზრებათ ითქვა, რომ კანონის ძალით, ამ შემთხვევაში დეპუტატები და წინამძღოლნი უფრო ძლიერნი არიან თვით თავად-აზნაურთა კრებაზე, რომელსაც ვერ შეუძლიან არად აქციოს მათი უფლებანი.

ბ-ნი ა. ნ. ფურცელაძე, სხვათა შორის, სწერდა, თავად-აზნაურობა სესხად აძლევდა ფულს და გირაოთი არ ჰქონდა ხოლმე უზრუნველყოფილი სესხიო. მაგალითად მოჰყავდა საადგილ-მამულო კომისია. ფურცელაძის აზრით, თავად-აზნაურთა საკრებულოს კანონის ძალით ამისი უფლება არა ჰქონია, ამის შესახებ საკრებულოს „ჟურნალ“-ში ვკითხულობთ.

...მას სრულიად უადგილოდ მოჰყავს მე-10 ტომის 1639 მუხლი. ეს მუხლი გვეუბნება: „კანონის თანახმად შემდგარ საზოგადოებრივი თანხა თავად-აზნაურობისა შეიძლება გაცემულ იქმნას სესხად, თუ ეს სესხი უზრუნველ-ყოფილი იქნება გირაოთი, შემდეგ წესით“...

თავის ციტატაში ბ-ნმა ა. ნ. ფურცელაძემ უყურადღებოთ დასტოვა ეს ტირადა და თავისი სიტყვებით იგი ამნაირად გადმოგვცა: „თავად-აზნაურთა საზოგადოებრივი თანხა შეიძლება გაცემულ იქმნას“... და სხვ. ცხადია, ა. ნ. ფურცელაძეს ვერ გაუგია, რა თანხაზეა ლაპარაკი. ეს მუხლი ეხება იმ თანხას, რომელიც სდგება თვით-დაბეგვრით (Самообложеніе) და რომელიც ჩვენ—ტფილისის თავად-აზნაურობას, არა გვაქვს.

ამას გარდა, 1902 წლის კანონის ძალით თავად-აზნაურთა სამეურნეო ინიციატივა შესამჩნევად გაფართოვდაო, დასძენს „ჟურნალი“.

როგორც ეტყობა, ბ-ნი ა. ნ. ფურცელაძე დიდი წინააღმდეგია საადგილ-მამულო კომისიისაო, ამბობს „ჟურნალი“; ამასთანავე იგი დარწმუნებულია, რომ საადგილ-მამულო კომისია შექმნა საკუთარის ნების მიხედვით თავად-აზნაურთა წინამძღოლმა. ნამდვილად კი ამის შესახებ არსებობს საზოგადო კრებათა დირექტივები. საზოგადო კრება თვით აფართოვებდა საადგილ-მამულო კომისიის მოქმედებას, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ მას სარგებლობა მოჰქონდაო. ა. ნ. ფურცელაძის ბრალდების შესახებ, დაზარალებულ თავად-აზნაურთა სასარგებლოდ გადადებული თანხა სულ სხვა საქმეს მოახმარეთო, „ჟურნალი“ შემდეგს მოსაზრებას გამოსთქვამს:

როდესაც ა. ნ. ფურცელაძე ექსტრაორდინარ თანხაზე ლაპარაკობს, დემაგოგიურ ხრიკებს მიმართავს. ეს საკითხი ჯერ ისევ 1903 წელს უარყოფით იქმნა გადაწყვეტილი იმ მოსაზრებით, რომ ასეთი დახმარება, რომელიც 100 მანეთს არ აღემატება ხოლმე, სარგებლობას ვერ მოუტანს, თავად-აზნაურობას კი საშუალებას ართმევდა მეტი თანხა დაეხარჯა კულტურულ-განმანათლებელ საჭიროებაზე. მას შემდეგ საზოგადო კრებებზე ერთხელაც კი არ აძრულა ამის შესახებ ხმა—იმდენად სამართლიანად მიაჩნდათ ეს დადგენილება, და თუ ა. ნ. ფურცელაძემ აღძრა ეს საკითხი—და ისიც გაზეთის ფურცლებზე, და არა საზოგადო კრებაზე, ვეჭვობთ, რომ ეს მას ალტრუისტურ გრძნობებით მოსდიოდეს“.

„ჟურნალი“ ბევრს სხვა წვრილმან საკითხებსაც ეხება, მაგრამ ჩვენ ისინი სრულიად უმნიშვნელოდ მიგვაჩნია, და ამიტომ უყურადღებოდ ვსტოვებთ.

დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

29-30 ივნისი.

საზღვარ-გარედ.

სოფია. 27 ივნისს სლავიანთა კრების უკანასკნელი სხდომა მოხდა. წაიკითხეს მისალოცი დეპეშები, მათ შორის ლ. ნ. ტოლსტოის წერილი. კრებამ დაადგინა სამადლობელი დეპეშა გაუგზავნონ ლ. ნ. ტოლსტოის. მიღებულია 20 რეზოლუცია. მაკედონიის მემორანდუმზე კრებამ სურვილი გამოსთქვა სერბია-ბოლგარეების დაახლოვებაზე. კრამარჟმა მადლობა გამოუცხადა ბობჩევს, კრების თავმჯდომარეს, რომელსაც კარგად მიჰყავდა კრების მუშაობის საქმე. ბობჩევმა უკანასკნელ სიტყვაში აღნიშნა, რომ იმას მხარი არ აუქცევია პრაგის კრების ძირითად დადგენილებათათვის, ამასთან მოამზადა ნიადაგი მესამე კრებისათვის, რომლის მოწვევის დროს და ადგილს განსაზღვრავს აღმასრულებელი კომიტეტი. ბობჩევმა დაამთავრა სიტყვა ლექსით: „ყველანი დიდებულნი არიან, ყველანი თავისუფალნი“. საღამოზე გაიმართება ნადიმი.

ბეტენი. ჰაეროპლანების გაჯიბრება დამთავრდა. სწრაფ ფრენის პრიზი მიიღო მორანმა, რომელიც ფრინავდა გნობის ას ძალიან მონოპლანით. ლაბუშერი თავის მონოპლანით 3 საათ. 47 წუთს 340 კილომეტრზე გაფრინდა (510 ვერსი) ოლისლაჟერი 425 კილომეტრს (640 ვერსზე) ჰაერში დაჰყო 3 და 5 ს.

ათინა. მოვიდა გემი „იმპერატორ ტრაიანი“. ნავთსადგურის კაპიტანმა ინახულა გემის უფროსი და ბოდიში მოიხადა. საბერძნეთის მთავრობის ბრძანებით, რუმინიელი გამოქცეული ჯარის-კაცი გადაეცა „ტრაიანის“ უფროსს. ინციდენტი გათავდა.

სტამბოლი. საბერძნეთის საქონლის ბოიკოტი ძველებურად გრძელდება მიუხედავად მთავრობის ცირკულიარისა.

სოფია. გუშინ გაიმართა გამოსაშვიდობებელი ნადიმი 400 კაცისათვის. წარმოითქვა ძლიერი სიტყვები და სადღეგრძელოები. პოლონელმა პუბლიცისტმა ჩერნოვსკიმ თავის სადღეგრძელოში აღნიშნა, რომ სლავიანებმა ერთიერთმანეთს ხელი უნდა გაუწოდონ, რათა განამტკიცონ კავშირიო. ბობრინსკი და ჩერნოვსკი გადაეხვიენ ერთმანეთს და გადაჰკოცნეს.

პეკინი. რუსეთის ელჩმა ჩინეთის მთავრობას გადასცა რუსეთ-იაპონიის შეთანხმების შინაარსი. ამ შეთანხმებაზე პეტერბურგში ამ ერთი კვირის წინად მოაწერეს ხელი. ასევე აცნობა ჩინეთის მთავრობას იაპონიის წარმომადგენელმა.

ვენა. „კორესპ. ბიურო“ იუწყება, რომ სერევში გახსნილმა ბოსნიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კონგრესმა გაჰკიცხა სლავიანთა კონგრესი, კრამარჟის სიტყვას პროტესტი გამოუცხადა.

პარიზი. დეპუტატთა პალატაში დაიწყო განხილვა შეკითხვისა, რომელიც შეიტანა ჟორესმა, ლებუკმა, და სეკარმა შესახებ ბირჟის მოხელის რიშეტის დაპატიმრებისა. შემკითხველთა აზრით, პოლიციის აგენტებსა და სასამართლოს უწყებას რიეტის გაჩხრეკისა და უეცარი დაპატიმრებით საშუალება მიეცათ დიდი საბირჟო ოპერაციები მოეხდინათ იმ დაწესებულებებში, რომელნიც რიშეტისაგანაა დაარსებული.

სოფია. რუსულ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა გამოფენას დიდი ძალი ხალხი აწყდება. გამოფენა გამართულია საერობო გიმნაზიის შენობაში. გაზეთები ქებით იხსენიებენ გამოფენას. „დნევნიკი“ სწერს, გულის ფანცქალით ვათვალიერებთ გამოფენას, განცვიფრებულნი ვართ გამოცემულ წიგნთა სიმრავლით; პირველ განყოფილებაში მოთავსებულია 1908 და 1909 წ.წ. გამოცემული წიგნები და ჟურნალ გაზეთობა—თითქმის 50.000 სხვა და სხვა სათაურით. მეორე განყოფილებაში—აკადემიური გამოცემანი, მესამეში—წიგნების მოვაჭრეთა ბაზარი, აქვეა ცენტრალური საწყობი „სოფლის მოამბისა“, უფრო დიდი გასავალი აქვთ ბელეტრისტულ, ისტორიულ, სამეურნეო, საზოგადოებრივი, სამხედრო და სამკურნალო ხასიათის ნაწარმოებთ. სამ დღეში ფირმებმა გაჰყიდეს სულ რაც ჰქონდათ. გამოიწერეს ახალი საქონელი.

სალონიკი. ღიუმის ოლქში, სოფელ ბიელაში მოხდა შეტაკება აჯანყებულ ალბანელებთან, რომელნიც უკუქცეულ იქნენ. გილანის ნაწილშიც მოხდა ღრი ბრძოლა, დაიღუპა მეთაური ადემ კაში. ტყვედ წაიყვანეს 8 მეამბოხე 152 ტომარა სურსათით.

პარიზი. დეპუტატთა პალატამ 395 ხმით წინააღმდეგ 85 ხმისა მიიღო ფორმულა მორიგ საქმეებზე გადასვლისა მთავრობის ნდობის გამოცხადებით. შემდეგ 298 ხმით წინააღმდეგ 168 ხმისა პალატამ მიიღო წინადადება 33 წევრიან კომისიის დაარსებისა რიშეტის დაპატიმრების საქმის გამოსაძიებლად.

ნიუ-იორკი. დიდი სიცხეებია. გუშინ ფილადელფიაში სიცხემ დაჰკრა და მოკლა 12 კაცი; გარისბორგში 8, პროვინსტოუნში—სამი.

ლონდონი. დეპუტატთა პალატაში დაიწყო კამათი ქალთა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების კანონ-პროექტზე.

თეირანი. საპეხდარი არჩეულ იქნა მეჯლისის დეპუტატად თეირანიდან.

სალონიკი. მოხდა ბერძენთა დიდი მიტინგი, სადაც პროტესტი გამოაცხადეს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონისა შესახებ მაკედონიის სადაო ეკკლესიებისა, მიტინგზე შეიმუშავეს რეზოლუცია, რომელიც თხოულობს კანონის გაუქმებას. ასეთივე მიტინგები მოხდა სხვა ქალაქებში. დღეს და ხვალ მაკედონიის ყველა ქალაქებში გაიმართება ასეთი მიტინგები.

სპარსეთი

თეირანი. საპეხდარისა და სარდარ-ასადის თხოვნები სამსახურიდან გადადგომაზე შეიწყნარეს. ახალ კაბინეტის თავმჯდომარედ დაინიშნა მუსტაუფი-ულ-მემალიკი.

ჰაერში ფრენა.

ბურნემუტი. ავიატორი ხელსი ჰაეროპლანით დიდ სიმაღლეზე აფრინდა და ძირს ჩამოშვების დროს გასხლტა და დაეცა დიდძალ მაყურებელთა წინაშე. ჩამოვარდნის მიზეზი იყო ჰაეროპლანის უკანა ნაწილის დაზიანება. ავიატორი ძალზე დაშავდა და იქვე გარდაიცვალა.

ბიტერფელდი. დირიჟაბლი, „მეექვსე ნომერი“ აფრინდა ნაშუადღევის 3 საათზე და 15 წუთზე, ნელი წვიმა და ქარი იყო და გაემართა დრეზდენისაკენ, სადაც მიფრინდა 5 საათზე 45 წუთზე. გადაუარა თავზე ქალაქს, შემოუარა ქალაქის სამმართველოს ახალ შენობას და 6 საათს შემდეგ ჩამოეშვა ძირს დიდ ძალ ხალხის წინაშე. ჰაეროპლანი კიდევ აფრინდა და თან წაიყვანა პრინცი იოანე გიორგი თავის მეუღლითურთ, გადაფრინდა დრეზდენის თავზე და შემდეგ წყნარად დაეშვა დედა-მიწაზე.

კიევი. ჰაერში საფრენ მოედანზე 5000 მაყურებლის თანადასწრებით აფრინდა გეინე და დაჰყო ჰაერში 5 წუთს, აფრინდა 21 საჟენის სიმაღლეზე. სამი წრე გააკეთა თითო წრე ვერს ნახევარს უდრის.

რუსეთი

პერმი. შეიპყრეს ექვსი ყაჩაღისაგან შემდგარი ბრბო, რომელიც იმალებოდა ტყეში, თავს დაეცნენ ფოსტას და უნდოდათ გაეტაცათ 78.000 მანეთი. ყაჩაღთაგან სამი მოკლულია.

ორენბურგი. 26 ივნისს ღამე შეიარაღებული თავდასხმა მოხდა ფოსტაზე ცირლიანსკის ქარხნის ახლო. დაიჭრა ფოსტალიონი და მეეტლე, ფოსტა გადარჩა.

ხერსონი. დაღუპულ გემიდან ამოიღეს მემანქანის თანაშემწის და ხუთი წლის ბავშვის გვამი. სავადმყოფოში მოკვდა 14, სულ დაშავდა 48 „ვამპოას“ ზიანი არ მოსვლია.

ვარშავა. სენატორ ნეიდგარტი და რევიზიის მოხელენი ვარშავიდან წავიდნენ. რევიზიის გასაგრძელებლად შემოდგომაზე დაბრუნდებიან.

ნოვოგრუდოვი. გასცარცვეს რულიტიცკის და სენოჟიცკის ეკლესიები წაიღეს ვერცხლის ნივთები და სამოსელი. დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეს.

ტობოლსკი. ღამე კატორღელებმა ტობოლის გზაზე მძიმედ დასჭრეს ორი ყარაული, მოიტაცეს ოთხი თოფი და მიიმალნენ.

ფირიუზა. როგორც გამოირკვა სად. ასხაბადზე ცეცხლმა 17 საქონლის საწყობს 82,623 მან. ზარალი მიაყენა.

დონის როსტოვი. დაიწვა რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების საწყობები. ზარალი მილიონ მანეთამდეა.

კიშინევი. ხოტინის ქალაქის საბჭომ დაადგინა გახსნას ქალაქის სავაჟო გიმნაზია და საქალებო კერძო გიმნაზიის ხარჯი ქალაქმა იკისროს.

სახალინი. გაიხსნა პირველი შინაური საქონლის იარმუკა.

ლოძი. ბრესტლიტოვსკში ლოძის მაძებარ პოლიციამ შეიპყრო და ლოძში გაგზავნა ვინმე ქალი რაბინოვიჩი და მისი ამხანაგი რომი, რომელთაც სცადეს ლოძის მრეწველისაგან მოტყუებით 20,000 მანეთის მიღება.

კერჩი. ხოლერის გავრცელების გამო ბავშვების თავშესაფარის სამზრუნველომ ახსნა და აკურთხა უფასო სახალხო საჩაიე ღარიბთათვის.

ტვერი. ლიაგინში გასცარცვეს ჯვართ-ამაღლების ეკლესია, წაიღეს ფული, ვერცხლის ნივთები და კიდობანი.

ხოლერა

სარატოვი. 9—26 ივნისამდე სარატოვში ხოლერით ავად გახდა 25, გარდაიცვალა 11, ავად არის 13, გუბერნიაში ავად 11, გარდაიცვალა 47, ავად არის 50 კაცი.

სარატოვი. გუბერნიაში 21—28 ივნისამდე ავად გახდა 111, გარდაიცვალა 46, ამათ შორის სამარაში ავად გახდა 89, გარდაიცვალა 33 კაცი.

კერჩ-ენიკალე. ხოლერით ავად გახდა 14, გარდაიცვალა 5, ავად არის 63 კაცი.

პეტერბურგი. 27 და 28 ივნისს ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2 კაცი.

გიორგიევსკი. ეპიდემიის გაჩენიდან ავად გახდა 15, გარდაიცვალა 7.

ზეანკოვი. კვირის განმავლობაში მაზრაში ავად გახდა 39, გარდაიცვალა 18. ქალაქში ავად არავინ გამხდარა.

ცარიცინი. 22 ივნისიდან კვირის განმავლობაში ავად გახდა 59, გარდაიცვალა 26, ავად არის 29.

ჩერნიგოვი. ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ მდინარეში ხოლერის ვიბრიონები აღმოაჩინა.

მოგილევი. კვირის განმავლობაში გომელში ხოლერით ავათ გახდა 1, გარდაიცვალა 1, გომელის მაზრაში ავად გახდა 21, გარდაიცვალა 9. აგოჩევისაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1.

იაროსლავში. ქალაქში ორი კაცი გახდა ხოლერით ავად. ორივენი გარდაიცვალნენ.

ხარკოვი. გუბერნიაში ხოლერით ავად გახდა 166, გარდაიცვალა 56.

კიშინევი. სოროკის მაზრიდან მოყვანილი ავადმყოფის განავალის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა ხოლერის ვიბრიონები. შესდგა გუბერნიის სანიტარულ კომისიის სხდომა, რომელმაც ხოლერა სხვა ადგილიდან შემოტანილად აღიარა.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ხოლერა.** ხოლერიან ავადმყოფთა რიცხვი ტფილისში ძალიან გამრავლდა. ყოველ დღე 5—10 კაცი ხდება ავად. 28 ივნისს ავად გახდნენ ხოლერის ნიშნებით: მლეთის შესახვევში ბდათია გლადიშევა (შავი მუშა) 26 წლისა, რომელიც გარდაიცვალა ნაძალადევში ტევზაშვილის აგურის ქარხნის მუშა ალი აკბეროღლი, 30 წლისა, ავჭალის ქუჩაზე—ვლადიმერ გრიგოროვი, 20 წლისა, პეტროვის ქუჩაზე—ა. ტ. ტირტიჩნაია, 76 წლისა. ციციშვილის ქუჩაზე—სოფ. კრიხის (რაჭის მაზრის) მცხოვრები გარსევან ქობულაშვილი, 58 წლისა, რომელიც გარდაიცვალა, ჰანასევიჩის ქუჩაზე—სააქციზო სამმართველოს კონტროლიორი კარაპეტ ალ იბეკოვი და მიხეილის შესახვევში—სოფიო მურადოვისა, 39 წლისა, რომელიც გარდაიცვალა. ყველანი ხოლერიანთა ბარაკში გაგზავნეს, ხოლო მათ ბინებს დეზინფექცია უყვეს. 29 ივნისს გახდნენ ავად: კრასნოგორის ქუჩაზე—რაჭის მაზრის სოფ. სხვავის მცხოვრები სამსონ ბრეგვაძე, 14 წლისა, დესიმონოვის ქუჩაზე—კარაპეტ მარკოზოვი. სერებრიანი შესახვევში—ალექსანდროპოლის მცხოვრები კარაპეტ ალპოიანცი, 59 წლისა, მახათის ქუჩაზე—დავით საქულაშვილი, მონასტრის შესახვევში—თედო ძე მარქარისა, 35 წლისა, რეიტერის შესახვევში—მეტეხის ციხის ზედამხედველი იუსტინე ვასილიანსკი, 45 წლისა, საიადოვის შესახვევში—ნინო ეგანოვა, დიდი მთავრის ქუჩაზე—ალექსანდრე გულივერდოვი, მიხეილის ქუჩაზე—ნიკიტა კრივონოსოვი, მეორე თუმანოვის ქუჩაზე—სეროფ ძე სარქისასი მელიქ ოღლი, მეფურნე. ყველანი ხოლერიანთა ბანაკში გაგზავნეს, სადაც მხოლოდ გულივერდოვი გარდაიცვალა.

◆ **ყაჩაღის მოკვლა.** როგორც სიღნაღიდან გვატყობინებენ, 23 ივ-

პოლიციას სოფ. ბაისუბანში ლავს ცნობილი ყაჩაღი მაკარ ქაძე, რომ ლსაც ადმინისტრა- ღდი ჩანია სდევნიდა სხვა და ბოროტ მოქმედებათა ჩადენისა- ,

ხოლერა ბაქოში. დეპეშათა ნტო იუწყება, რომ ბაქოს გუ- ია ხოლერის მხრივ არა საიმე- იქნა გამოცხადებული, ხოლო ის იქითა მხარე საშიშოდ.

აბანოების წყლის შემოწ- . გუშინ ქალაქის სავაჭრო სა- ნეო მეთვალყურემ ქალაქის ურ ლაბორატორიას წარუდგი- შესამოწმებლად ტფ. აბანოები- წოდებული წყლის ნიმუშები.

მინდვრის თაგვები. როგორც ყობინებენ, ნორიოსა და მარტ- ის მინდვრებში თაგვები გაჩენი- .

სასმელი წყალი ხოლერის ჩიონებით მოწამლულია. ლისის ქალაქის გამგეობა აც- ებს რუსულ გაზეთებში, რომ ელ წყალში ხოლერის ბაცილე- აღმოჩნდა და მის სმას მოერიდე- . წყალი აუცილებლად ადუღე- ლი უნდა იყოს. გასაკვირველია, მ ტფილისის ქალაქის გამგეობას ის ზნეობრივ მოვალეობად არ ჩნია ასეთი საყურადღებო გასა- თხილებელი ცნობა ქართულ ოგადოებასაც მიაწოდოს ქართულ ეთების შემწეობით.

◆ **მღვდელი გრძელიშვილი.** გორც ვწერდით, მღვდელი ძელიშვილმა წერილობით სთხო- საქართველოს ეგზარხოსს, რად- ოლქის სასამართლომ სანთლის ხნის ფულის მითვისებაში გამა- თლა, ამიტომ მღვდელთმოქმედე- ს უფლება დამიბრუნეთო. სასი- დო კანტორას ეს თხოვნა შეუ- ნარებია.

◆ **გადასახლებულთა შეპყრობა.** 8 ივნისს პოლიციამ შეიპყრო ფილისში: სიღნაღის მცხოვრები ორკ მერაბოვი და გიორგი ბარი- ნი, რომელნიც ადმინისტრატიუ- ის წესით გადასახლებულნი იყვ- ნ და თავის ნებით დაბრუნდნენ. თ პასუხის გებაში აძლევენ.

◆ **სანიტარული დათვალიერება.** 9 ივნისს ქალაქის საგანგებო კო- სიამ დაათვალიერა მეხუთე საპოლიციო უბანში საჭმელის ყველა დუქნები. ბევრი ადგილები ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და მათ პატრონებზე შედგენილ იქმნა ოქმები. მოსპოს აგრეთვე რამდენიმე ფუთი უვარგისი ხორცი.

◆ **ნამესტნიკის ჩამოსვლა.** დღეს, დილის 10 საათზე ავტომობილით მცხეთიდან ტფილისში ჩამოვა კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი თავის მეუღლითურთ.

◆ პოლიციამ ტფილისში შეიპყრო: 28 ივნისს 26 უპასპორტო, ხოლო 29 ივნისს—32.

მოწერილი ამბავი

ქართლი. ძნელი და უდღეურია ინტელიგენტის ცხოვრება სოფლად. მართლა რომ არა ჩვეულებრივი რწმენით და ენერგიით უნდა იყოს აღჭურვილი ის ინტელიგენტი, რომელსაც ასე თუ ისე შეეძლო სხვაგან, ქალაქად მოეწყო თავისი ცხოვრება, მაგრამ სოფლისა და ხალხისადმი სიყვარულმა ქალაქად ცხოვრებას სოფლად ცხოვრება ამჯობინა. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც მოიპოვებიან ასეთნი.

საზოგადოთ, დღევანდელ სოფლის გაღატაკება - გატიალება - სიღარიბის და სრულ უვიცობის დამახასიათებელია ლოთობა, ცრუ-მორწმუნეობა, ძარცვა-გლეჯა, შური, გაუტანლობა და სხვა მრავალი ამისთანები. ერთის მხრით, ბატონთა და პატრონთა თავგასულობა და თვითნებობა, მეორეს მხრით, ყოველივე ეს ისეთ ატმოსფერას ჰქმნის სოფლად, რომ ინტელიგენტ ადამიანს სიცოცხლე ეწამლება. შებრძოლება კი ყველა სოფლის ამნაირ სიდუხჭირესთან არც თუ ისე უხიფათოა სოფლის ინტელიგენტისათვის. ძლიერ ბევრია სოფლად შავი ძალები, რომელთაც შეუძლიათ გასრისონ, სოფლის მოამაგე ინტელიგენტი. სამაგიეროდ, ძლიერ მცირეა სოფლად ინტელიგენტთა რიცხვი, რომ მათ შესძლონ შავ ძალებთან გამკლავება. ამნაირად, თუ ინტელიგენტი სოფლად, რომ ცხვრებიც მთლები დარჩნენ და მგლებიც მაძღრები, ყოველ წუთში უნდა მოელოდეს, რომ იგი შეიქმნება მსხვერპლი შავი ძალებისა. მათი უკმაყოფილებიდან და ლანძღვა-გინებიდან, რაც უნდა ანგელოზი იყოს სოფლის ინტელიგენტი, თავს ვერ დააღწევს. განსაკუთრებით მაშინ, თუ მან სოფლად ხელი მიჰყო კულტურულ მუშაობას. ერთის მხრით, აქ გასაკვირველიც არაფერია. ამა თუ იმ კულტურულ დაწესებულებას სოფლად სოფლის ღარიბი და უმეცარი ნაწილისთვის სარგებლობასთან ერთად ზარალიც მოაქვს იმათთვის, რომელნიც თავიანთ კეთილდღეობას სწორედ ამ სოფლის სიღარიბე-უმეცრებაზე აშენებენ. ასეთნი კი არც ისე ცოტანი არიან სოფლად.

თავის თავად ცხადია სოფლის ჩარჩი მოვაჭრე წინ ეღობება და ათასნაირ ხრიკებს მიმართავს ხოლმე სასოფლო ბანკის დაარსების წინააღმდეგ და მისი დაარსების ინიციატორსაც შესაფერ მაგარი სიტყვებით ამკობს. სკოლა და სამკითხველოც აღარ უნდა სოფლის წურბელას, ბნელ ამი უფრო ეხერხება მოქმედება. აღსანიშნავია, რომ სკოლებს და სამკითხველოს ზოგიერთ სოფლებში თვით სოფლის მოწინავე წოდებაც ეჭვის თვალით უყურებს. „თავს ნუ იტეხებთ, დააყენეთ ხალხი თავიანთ ქერქში“ ხშირად გესმის, სოფლის წარჩინებული პირებისაგან. ამნაირად, თუ სთქვი რამე სასოფლო ბანკის დაარსებაზე სოფლის ინტელიგენტმა — გადაიკიდე სოფლის ჩარჩ-მევახშეები, სკოლასა და სამკითხველოზე დასძარი კრინტი, კიდევ უფრო გააძლიერე უკმაყოფილოთა რიცხვი სოფლის ნაძირალა ლოთები, რომელნიც კმაყოფილებით ფლანგავენ უკანასკნელ გროშს დუქნებში, მაგრამ სკოლის შესანახ ფულის გადახდის დროს უშვერი სიტყვით იხსენიებენ სწავლა-განათლებას და მასწავლებლებს. — ტერიტორიის საკითხზე ამოიღებ ხმას და აქ კიდევ მემამულეთ ვერ წაუხვალ და სხვა დარჩა მხოლოდ სოფლის უღარიბესი და დაჩაგრული ნაწილი, რომელიც დიახაც რომ თანაუგრძნობს და მისდევს ინტელიგენტს, მაგრამ ვაი, რომ სწორედ სოფლის მცხოვრებთა ამ ნაწილის გზაა უფრო მოფენილი ეკლით. სწორედ ეს ნაწილია მსხვერპლი იმ უკუღმართობისა, რომელსაც დღეს სოფლის ცხოვრებაში ფესვები ეგრე მჭიდროდ გაუდგამს. ამას სოფლის ინტელიგენტი სოფლის ცხოვრების ცოცხალ მაგალითებზე ეცნობა ის უყურებს სოფლად, რომ ნიადაგ გამოლეულ გლეხს ერთხელ გადახდილი გადასახადი მეორედ ხდება, იგივე მოწამე, რომ მიუხედავად აუარებელი გადასახადებისა ამა თუ იმ სადმინისტრაციო ხარჯების სახით, ხშირად გლეხს მრავალ არა ვალდებულ მოვალეობას აკისრებენ, რომელიმე ადმინისტრატორის შინაურულ განკარგულება-ბრძანებით, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ადმინისტრატორს უნდა საკანცელარიო ხარჯი შეამოკლოს მან. იმ სოფელში, სადაც ეს წერილი იწერება, ყოველ დღე ოთხი სოფლის მუშა ხელი უნდება ადგილობრივ ადმინისტრატორს კანცელარიის დარაჯად ახალი ადმინისტრატორის განკარგულების ბრძანებით.

ყველა ამნაირ თავგასულობას და თვითნებობას არ შეიძლება სოფლის ინტელიგენტმა გულ-ხელ დაკრეფილი უყუროს. აქ კი მას ისეთ ძალასთან უხდება შებმა, რომ იმისი ტყუილს უფრო გასავალი აქვს, ვიდრე ინტელიგენტის მართალს და რა არის გასაკვირი, თუ ერთ მშვენიერ დღეს მოაშორონ იგი სოფელს. **X**

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. კვირას, 27 ივნისს, ქართული დასის მსახიობებმა (თამაშეს ბ-ნ ფოცხვერაშვილის სცენები ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან—„აშენდა საქართველო“. ამ სცენების წარმოდგენამ როგორც ტფილისში ისე აქ ორგვარი აზრი გამოიწვია საზოგადოებაში, ზოგი უსაყვედურებს ავტორს, გადაჭარბებული, ტენდენციური, ცალმხრივიაო, ზოგი სრულ სინამდვილედ აღიარებს, და ამ სცენებს სამართლიან დაკვირვების ნაყოფად სთვლის.

რომელი მხარეა მართალი?

ბევრს ჩვენთაგანს პირადად არ უნახავს ქართველ სტუდენტთა ცხოვრება უცხო ქალაქებში, არ გასცნობია მათ სულიერს ძალას, მეცადინეობის უნარს, მაგრამ მაინც ყველას შეგვიძლიან ვიქონიოთ ცხადი წარმოდგენა მათს შესახებ. შეგვიძლიან უტყუარი პასუხი მივსცეთ ამ კითხვას: „რა აკეთეს, რას შვრებოდნენ“.?

გადაავლეთ თქვენი ბედნიერი თვალი ჩვენს ქვეყანაში დაბრუნებულ სტუდენტობას. რით ოცნებობს, როგორ ატარებს დროს უმრავლესობა. ჩვენი ქვეყნის დაბა—სოფელ-ქალაქები სავსეა ამ დროს საკანიკულოდ ჩამოსულ სტუდენტობით. ვის ჩამოჰყვა თან შრომის, ენერგიის უნარი. ვინ, რომელმა მათგანმა გაამართლა ჩვენს პრესაში გამოთქმული მოწოდება: „დააჩნიეთ კვალი სიკეთისა თქვენის 3 თვის ყოფნის ჩვენს ჩამორჩენილ სოფლებს, დაუახლოვდით ხალხს, შეისწავლეთ მისი ზნე-ჩვეულება, შეკრიბეთ მასალა, მოუტანეთ მათ თვითცნობიერების სარგებლობა“; ეჩიჩინებოდნენ ჩვენს სტუდენტობას ყოველს მხრიდან.

ეს კეთილი ხმა დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა, „კოკასა შიგა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“

რა საქმიანობასაც იქ, უცხო მხარესაა მიჩვეულია ჩვენი მოზარდი თაობა იმგვარივე საქმიანობის უნარი და გამოცდილება ჩამოჰყვება ხოლმე, რასაკვირველია, თავის ქვეყანაშიაც.

რა საჭიროა, ბატონებო, ფოცხვერაშვილს ვსწვდეთ ყელში,—რაზედ მოგვჭერი თავი, რაზედ შეგვარცხვინეო და მისი სურათები საანათემოდ გადავაქციოთ. რაც ჩვენ სცენაზედ ვნახეთ, ამასვე ვხედავთ თვით ჩვენს გარშემო.

—ტყუილი სამდურავია, იმართლებდა ერთი თავს, მოწოდების შესახებ. სტუდენტობა თავის ქვეყანაში სამუშაოდ-კი არა, დასასვენებლად მიდისო.

ოღონდაც რომ დასასვენებლად, რადგანაც ისეთი შრომა მეცადინეობის შემდეგ, როგორსაც „აშენდა საქართველოს“ გმირები ეწევიან, დასვენებაა საჭირო დასვენება ლუარსაბისებული, რომელიც სმა-ჭამის, გორაობის და ქერში ბუზების თვლის მეტს არას აკეთებდა.

ალბად დასვენება იქნება ის სურათიც, რასაც ქუთაისის და იმედია სხვა ადგილებისაც განაპირა უბნის მცხოვრებნი ხშირადა სჭვრეტენ. მთვრალი სტუდენტობა ეტლში უთავბოლოდ ჩაყრილა, ისმის არეული სიმღერა-ღრიანცელი, ერთი პირუკულმა კოფოზედ წამომჯდარა ქუდმოქცეული და ხელში ბოთლი უპყრია.

ეს საუცხოვო სურათი ერთდროული არ გეგონოთ. იგი ხშირი მოვლენაა, ისე ხშირი, როგორც დრო-ჟამში დღე და ღამე...

მართალია ყველაზედ ეს არ ითქმის. მაგრამ სტუდენტობა კარგად რომ გაიცხრილოს, ცხოვრების ცხრილზე მხოლოდ რამოდენიმე ერთეული დარჩება...

ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო, ნათქვამია.

ჩვენს ქვეყანას ცეცხლის ალმური თავს დასტრიალებს. ლამის დაიწვას და გაყვითლდეს მისი ლამაზად მწვანე ველ-მინდორი, საჭიროა ძალა კეთილ-შობილური, ძლიერი, რომელიც მოავლენს გამაგრილებელს გამომაფხიზლებელს ნიავს, და ვაი რომ რჩეულთა პაწია რაზმა ეს ვერ შესძლოს...

თვით პიესაზედ ჩვენ ბევრს აღარას ვიტყვით. საერთოდ იგი სუსტად მიგვაჩნია. დიდი ნაკლია, რომ ამოდენ უარყოფითი ტიპებთან ერთი აღარ მოიპოვება დიდებითი ტიპი მაინც.

შიმშილაძე ამ მხრივ სუსტზედ უსუსტესია.

სცენის შემდეგ გაიმართა „დივერტისმენტი“ მაგრამ, რომ არ გამართულიყო, ისა სჯობდა. ბ-ნმა წუწუნავამ „ვილაცის—რაღაცა“ სცენა წარმოადგინა „იტალიანურად“, რომლისაც ვერავინ ვერაფერი გაიგო.

ამგვარ გაუგებლობას, იმიტაცია იქნება იგი თუ სხვა რამ, სჯობს თავი გავანებოთ.

უკეთესი იყო მის მიერვე ფაუსტიდამ სახუმაროდ ნამღერი ვალენტინას არია (შარჟი), მაგრამ მარტო ამისთვის სწორედ არ ღირდა იმდენი მოლოდინი, ხალხს სიცხისაგან სიმწრით ოფლი ჩამოსდიოდა წურწკულით...

თეატრი სავსე იყო. ნამეტნავად მოსწავლე ახალგაზრდობა დაესწრო ბლომად. **ჯაფარ-ფაშა.**

ხონი. ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა ქ. ქ. ნ. ჯავახიშვილის, თ. გოგოლაშვილის, ბ. ბ. ვ. შალიკაშვილის და ნ. გვარაძის მონაწილეობით გამართეს წარმოდგენა შაბათს, 26 ივნისს. წარმოადგინეს პლატონის 4 მოქმედებიანი დრამა: „ხალხი“ თარგმანი ვ. შალიკაშვილისა. ეს პიესა პირველად დაიდგა ხონის სცენაზე. ამასთანავე შინაარსი პიესისა თანამედროვე ცხოვრებიდინაა აღებული. ყოველივე ეს კი იმედს გვაძლევდა, რომ ხალხი ბლომად დაესწრებოდა წარმოდგენას, მაგრამ

ალხური ლექსები, კახეთში

შეკრებილი ზ. ი. ჩხიკვაძისაგან.

1

სიკვდილმა ჩამოიარა,
არვინ დახვდა წინაო,
ერთი ობოლი საწყალი
კარებზე დახვდა წინაო.
მე ვარ და მე წამიყვანე,
სიობლემ შემაწუხაო!
მე შენთვის არა მცალიან,
ისპაანს წასვლა მინდაო,
ცხრა ძმანი გამრავლებულან,
იმათი გაყრა მინდაო.

2

შაქრიანს ჯარი შევიდა,
ღამე ბნელია ტიალი!
როსტომსა ხელი მოვკიდეს,
დააწყებინეს ღრიალი.
გრემში კაცი გავაქციეთ,
ის ჩვენთვის სიმაგრე რის.
ნაფარეულის ბიჭები
თოფიანი და ხმლიანი
ნაშოლში წამოგვეწივნენ,
ომი ასტეხეს ტიალი.
კარჭაული შვილი შაიო
იქა სდგას ლურჯ ჩოხიანი.
გავარდა ლეკის მაჟარა,
შარმაზანს მოხვდა ტყვია.
იმისი დედა ტიროდა:
ღლე დამიბნელდა მზონი!
ეტავი არ გამეგონა
ენი მარცხი და ზიანი.

3

ზევიდგან გადმოვიარე,
დმოვყევ ქარის ქროლასა,
უარესსა შევესწარ
ალ-დედამთილის ბრძოლასა.
როსი რძალი დედამთილს
ვასა უგლიდა კერასა.
როსი მაზლი შეესწრია:
რძალო, რა გვიჭირს დედასა?
რა მოგახსენო ყმაწვილო,
ცუდი ზნე გიჭირთ დედასა!
ხანდისხან ჟინი მოუვლის,
დაუწყებს თავი ძგერასა.
ცარიელ პურს აღარა სჭამს,
თუ სადმე ხედავს წველასა.
ხუთი პური შეეჭამა,
ერთი ცალყურა წველაცა;
ერთი კრუხის წიწილები
სულ დააჭამა ძერასა!

4

უჯარმელი ქალი ვიყავ,
გამათხოვეს მეო.
ნეფიანი რო მოვიდა,
შუბლში ვიტკიცეო.
იმათ ღვინის სმა დაიწყეს,
კარგად მოვირთეო!
პატარძალსა მეძახიან,
ცხენზე შევჯექ მეო.
უკანიდგან მოგვძახიან—
ქალო იცადეო!
მე იმათი დაძახილი
ტყემლად ჩავაგდეო.
გავკარ ხელი, გავაქენე,
სოფლად მივაგდეო.
სოფლის ბოლოს რომ მივედი,
სახლი ვიკითხეო.
მამამთილმა დამინახა,
ღმერთო რა ვნახეო!
დედამთილმა დამინახა,
ახა ვაგლახ მეო!
დავღუნე თავი შევედი,
ადგილი ვნახეო.
ოცი კვერცხის ტაფა მწვარი
კარგად გიახელო.
ჯამით ღვინო რომ დავლიე,
ყელი ვისველეო.
წყვილი ჯიხვი რომ გადავკარ,
გული ვიგრილეო.
სამი თვისა პატარძალმა
ვაჟი ვშობე მეო.
არ გეგონოთ აქაური,
თან მოვიყოლეო.
ერთი კვირის პატარძალმა
ძმები გავყარეო.
დედამთილი ვჯოხე, ვჯოხე,
მულიც გავაგდეო.
მამამთილსა ყალიონი
გულზედ ვტკიცე მეო.
მაწანწალა ჩემი ქმარი
სოფელს გავაგდეო.
შე უქნარავ ჩემო ქმარო
მაჭამე რამეო!
მე რა მაქვს, შენ რა გაჭამო—
ეგრე დაეგდეო.

წერილი ტრაპიზონიდან

ტრაპიზონს რომ ვიყავი, მომიხდა საავგარაკოთ წასვლა პარხალის მთებში, საცა საზაფხულოდ მრავალი შეძლებული ხალხი მიდის.

15 ივნისი იყო. ტრაპიზონიდგან ცხენებით გავემგზავრენით. დიდს გზა ტკეცილს მოზრდილი მდინარე აჰყვება, ვიარეთ მთელი დღე მთა ხევხევი. რამდენიმეჯერ შეგვხვდა თურქთა ჯარის კაცები, რომელთაც მიჰქონდათ ზარბაზნები 9-10 უღელი ხარებით. (კამეჩი აქ არ იციან) გზატკეცილი მიიმართება აზრუმს და იქ გადაჰქონდათ ეს ზარბაზნები. ამ დიდ შარა გზას ძველ დროიდგანვე ეწოდება საქართველოს სამხედრო გზა; დღესაც მას აზრუმში ასეთივე სახელი შერჩენია. მომაგონდა იმპერატორ კონსტანტინე ძოწით-მოსილის ისტორია 952 წლისა „დოღეკა ვივლიონში“, საცა ამბობს—აზრუმში დიდი ომი ჰქონდათ ბერძნებსა და ქართველებსო. ამ ომის აღწერის დასასრულს იგი განაგრძობს: „ქართველები გულფიცხნი არიან და მეტად გულკეთილნი და ფრიად მართებულნიო“ (მეღალო ევრეპის).

მეორე დღესაც ვიარეთ. გამოჩნდა პარხლის მთები, ის მთები, რომელთა წიაღში დღეს ობლად და უქმად დარჩენილა ერთს დროს აყვავებული ჩვენი სათაყვანო, ჩვენი დიდება პარხალი, უდაბნო, საქართველოს მომრწყველ განმანათლებელი მე-IX-X საუკუნიდანვე. გზატკეცილიდან შევუხვიეთ მთებისაკენ და დავადექით ვიწრო მთის ბილიკს. გავიარეთ თვალ უწვდენელი და მეტად დიდრონი ხრამ-ღრანტეები. ხევებში აქა-იქ საუკუნოებით გაუდნობელი თოვლი იდვა, ფერწასული და ჩამატლებული. ხე-ტყე სრულიად არ მოიპოვება პარხალზე. ტიტველი მთები შემოსილია მაღალ ფრიად სურნელოვან და ათასფერ ყვავილებითა და ბალახებით, არე-მარე თვალწარმტაც ხალიჩად იყო მოქსოვილი თვით ბუნებისაგან. მეტად ტურფა და მშვენიერია ეს არე მარე. გემრიელი და ცივი წყაროები ამოჩუხჩუხებენ, ყველგან საქონელი მრავალი, რძე და კარაქი გემრიელი და იაფი. მეორე დღე ღამდებოდა რომ მივედით პარხალის აგარაკში. აქ მრავალი ხალხი იყო მოსული სხვა და სხვა დაბებიდგან. პარხალიდგან მაყურებლის თვალწინ გადაშლილია დიდებული სანახაობა, თვალწინ მოსჩანს გადაჭიმული მღელვარე შავი ზღვა, ბათუმ-ტრაპიზონს მიმავალ-მომავალი გემებით. აგარაკში შეშა არ მოიპოვება, მის მაგიერობას ეწევა საქონლის გამხმარი წივა. მოაგარაკენი ყვავილ-ბალახების ნახარშში ბანაობენ, მეტადრე ქარებიანები და სხვა ავადმყოფნი.

აგარაკს დავყავით 7 აგვისტომდე და მერმე დავბრუნდით და მოველით სუმელას მონასტერში. აქედგან ტრაპიზონამდე ერთი დღის სავალია. მონასტრის გარშემო მთები ფიჭვ-ნაძვის ტყეებით შემოსილია. მონასტერში მისვლას მით უმეტეს ვესწრაფებოდით, რომ მახსოვდა სადღაც წაკითხული—„დავით აღმაშენებელმა ააშენა დიდი ლავრა სახელსაზედა სუმელის მონასტერი, რომელსაცა შესწირა მამულნი და სხვანი შემოსავალნი“.

ტაძარი, მსგავსად ვარძიისა, გამოქვაბულია კლდეში. საკმაოდ დიდია, მიუდგომელი. წინ აქვს ვიწრო ეზო კლდეებ აყუდებული. ეზოდგან გზამდე ჩაყუდებულია კლდისავე კედელი, რომელსაც სიმაღლე აქვს ხუთი საჟენი და კლდეშივე გამოკვეთილ კიბით ადი-ჩადიან, კიბის ასასვლელში ვიწრო და მაგარი კარებია. ეზოს ერთ მხარეს მიშენებულია ფრიად მაღალი რამოდენიმე სართულიანი შენობა, საცა მონასტრის კრებული სცხოვრობს. ტაძარში ასვენია ღვთის მშობლის ხატი, ძვირფასად შემკული. ამბობენ ლუკა მახარებლის დახატულიაო. მცხოვრებლების აზრით ხატი სასწაულთ მოქმედია. მოჰყავთ ჭკუით შეშლილები, ქრისტიანები თუ თათრები, და ყველანი იკურნებიანო. აქ დარჩენილია ასეთი გარდმოცემა: ეზოდამ ძირს მლოცველ ქალს აკვანი დაუსხლტა მწოლარე ბავშვით. შიშით გაშეშებულმა დედამ მხოლოდ აღმოსთქვა „პანაგია“. (ყოვლად წმიდაო) ხუთი საჟენის სიმაღლიდან კლდეზე დაცემული აკვანი და ბავშვი უვნებლად გადარჩაო.

აქა ყოფილა ქართველი ბერი და თავისი გაუფრთხილებლობის გამო ერთ გიჟს ხე დაურტყავს თავში და მოუკლავს. ჩვენის გამოუცდელობისა ზოგიერთ სხვა მიზეზისა გამო მონასტრის შიგნით ნაწილი ისე გულდასმით ვერ დავათვალიერეთ, რომ მასში გვეპოვნა რამე ნიშანი დავით აღმაშენებლისა ან და სხვა ქართველებისა. ასეთ ნიშან-კვალის გამოჩხრეკა კი დაკვირვებული კაცისთვის ფრიად ადვილი იქნება, რადგან აქაური ყოველი ბორცვი, ყოველი ხევი და ადგილი ხმა მაღლა ღაღადებს საქართველოს დიდებას. ტრაპიზონის და მის არე მარეს ტყვილად კი არ იხსენებენ ბერძენთა მწერლები (სტრაბონი და სხვა) კოლხთა მიწა წყლად და ანდრია მოციქულის ცხოვრებაც ამაოდ კი არ სწერს: მოციქული ანდრია მოვიდაო მეგრელთა სოფელ ტრაპიზონს. საჭიროა ყოვლად საჭიროა ამ არე მარეს, ძველის კოლხეთის, ჭანეთისა და კაბადუკიის შესასწავლად ქართველმა საზოგადოებამ გამოგზავნოს გამოცდილი და მიუდგომელად მომუშავე კაცი. დრონი დღით დღე შლიან საქართველოს მიერ დიდებით გამოვლილ გზა-კვალს: რაც გუშინ ჩვენი იყო, ხვალ სხვისად იწერება!..

15 აგვისტოს დიდი დღეობა გაიმართა და აუარებელი მლოცავი მოაწყდა სუმელას სხვა და სხვა ქალაქ სოფლებიდგან. შემდეგ ჩვენ დავბრუნდით ტრაპიზონს, საცა ქართველურ გულ მხიარულობით დავხვდნენ აქაური „ბერძენი“ ქალ-კაცნი ნანო, ბანჯო რუდაშა და ამათებრ ქართველურ მოსახელე „ბერძნები“.

გერასიმე ნადარეიშვილი.

იმედი იმედათ დარჩა და წინა ალაგები სანახევროდ ცარიელი იყო.

პიესა მაინც საუცხოვოდ შესრულებულ იქმნა. როგორც სცენის მოყვარეები ისე მსახიობნი, ორიოდე პირის გამოკლებით, კარგა ასრულებდენ ამ საღამოს თავიანთ როლებს. ამ ორი პირს კი კილო ლაპარაკისა არ უვარგოდათ. ძრიელ კარგი რამ იყო გაქნილ მარკელის როლში შ. ხონელი. კარგები იყვნენ ეგრეთვე ვ. შალიკაშვილი და ნ. გვარაძე, პირველი მოკეის და მეორე ტახონის როლში. მეტად მგრძნობიერად შესრულა თამარ გოგოლაშვილმა ოლიას როლი. საუცხოო იყო თამარ გოგოლაშვილი მეოთხე მოქმედებაში, როდესაც დაჭერილ მამას შემოყავს სცენაზედ, და ის მამას უცხადებს მიზეზს, თუ რისთვის გავარდა ოჯახიდან. აქ ყოველი სიტყვას ის გრძნობით ლაპარაკობდა. სცენის მოყვარეებში კი თავისი მოხდენილი თამაშით ირჩეოდნენ მოხუცი ქალის პელაგიას როლის აღმასრულებელი ქ-ნი ლ. ლოლობერიძე, და კუდინოვის როლის აღმასრულებელი ბ-ნი ბ. მდივანი. **ნ. ჯავახიშვილს** მართას როლში, ჩემის აზრით, ნამეტანი გადამეტება ეტყობოდა, ამასთან ქართულ სიტყვებს ხშირად ამახინჯებდა. მაგალითად: გარაშემოს მაგიერ ლაპარაკობდა გარშემო როდემდის მაგიერ კი როდამდინ და სხვა. უნდა აღვნიშნო, რომ ხონის თეატრს საკმაო რიცხოვანი და კარგი სცენის მოყვარენი ჰყავს. ეს სცენის მოყვარენი ვ. შალიკაშვილის ხელში კარგად გაიწვრთნებიან, ბევრს რამეს შეიძენენ და საუკეთესო სცენის მოყვარებად დარჩებიან. არ ახდენდა ხალხზე კარგ გავლენას ის, რომ სცენაზე მოთამაშეებს ამ საღამოს ერთმანეთის სახელები ეცვლებოდათ. მაგალითად ოლია, კატიას ოლიას ეძახდა, სასურველია ასეთი შემთხვევა შემდეგში არ განმეორდეს. წარმოდგენის დაწყებამდის და ანტრაქტებშიაც უკრავდა სამხედრო მუსიკა. ერთი შენიშვნა რეჟისორს: პირველი მოქმედება პიესისა სწარმოებს დილას გათენებისას. ამ დროს ოჯახის წევრნი დგებიან, ხელ-პირს იბანენ და ზოგიერთნი მათგანი ჩაის დალევის შემდეგ სამსახურში მიეშურება. მხოლოდ არც ერთი მათგანი პურს არ ხჭამს, მიუხედავად იმისა, რომ პური მაგიდაზედ ძევს. არა მგონია რომ რუსის ხალხი ჩაის დალევის დროს პურს არ სჭამდეს. შემდეგი წარმოდგენა გაიმართება საღამოს 27 ივნისს. წარმოადგენენ: „იმინე ისრაელო“ და „დარისპანის გასაჭირს“. **აქილესი.**

—

სოფელ ვაჩნაძიანი (თელავის მაზრა) 20 ივნისს კნ. სალომე ჯანდიერის მეთაურობით გაიმართა ქართული წარმოდგენა ს. ვაჩნაძიანის ქვრივის სასარგებლოდ. წარმოადგინეს ქართულად „ეხლანდელი სიყვარული“ კომ. 3 მოქ. თარ. ვ. აბაშიძისა. წარმოდგენამ ძალიან კარგად ჩაიარა. ჩვენ განცვიფრებაში მოგვიყვანა ბ. მელიქ აჯ მამულოვის (მოხუცი გენერალი) თამაშობამ. არც სხვა სცენის მოყვარეებს უკირდათ რა. კარგი იქნებოდა თვით აწყურელი, რომ სცენაზე პრანჭვა-გრეხისათვის არ მიემართა. სუსტად წარმოადგინეს „ხირურგია“ ჩეხოვისა. საზოგადოება ძალიან ბევრი დაესწრო. მოსულიყვნენ როგორც თელავის მაზრიდან აგრეთვე სიღნაღიდანაც. წმინდა შემოსავალი 200 მან. მეტი დარჩება. დიდი მადლობის ღირსია კნეინა სალომე ჯანდიერისა, რადგანაც ამ ფულით კარგა ბლომა წამლის შეძენა შეიძლება გლეხებს უსასყიდლოთ საწამლებლათ. როგორც გავიგეთ: განზრახვა აქვთ ამ სოფელში დაარსონ სამკითხველო. თუ კნ. სალ. ჯანდიერისა მოისურვებს ამ საქმეს კეთილად დააგვირგვინებს. ვუსურვებთ გამარჯვებას. **დამხწრე.**

—

დ. ონი. (რაჭის მაზრა) ამ ერთი კვირის წინად ადგილობრივ სცენის მოყვარე მიშა ჯაფარიძის თაოსნობით საკრებულოს დარბაზში გაიმართა წარმოდგენა, წარმოადგინეს ერთი დრამა და მეორე კომედია. წარმოდგენამ ძალიან კარგად ჩაიარა და ბევრი ხალხიც შიიზიდა. მეტად სასიამოვნო იქნება თუ ბ. მიშა ჯაფარიძე ხშირად მოაწყობს ხოლმე ამ გვარ წარმოდგენებს. რაც უფრო ხშირად გაიმართება წარმოდგენები, უფრო დაინტერესდება წარმოდგენებს ჯერ შეუჩვეველი ონი საზოგადოება.

დ. ონელი.

მცირე მოგზაურობა გურიაში

დაიძრა მატარებელი ბათომიდან და გურიისაკენ გაგვაქანა. სადგურ ნატანებში გადავსხედით ეტლში. ვაგონში ქობულეთს მიმავალ ხოჯა კობალაძეს გამოველაპარაკე.—ეხლა თქვენი ქალები ხომ პირ-ახდილნი უნდა დადიოდნენ, რადგან თქვენმა შეიხ-ულ-ისლამმა ნება დართო პირ-ბადე აიხადონ—არა, მიპასუხა ხოჯამ—ეგ ჩვენი ქითაბის წინააღმდეგია—„თქვენი ქითაბი ჩვენაც წაგვიკითხავს ქართულად ნათარგმნი, იქ არსადა სწერია, რომ ქალმა მზე დაიბნელოს—ჩაერია ჩვენ ლაპარაკში ბ. ა—ნი—ქართულად ცუდად არის ნათარგმნი—მიუგო ხოჯამ—„არა ძალიან კარგად არის ნათარგმნი, მაგრამ თქვენ ხოჯები ჯიუტობთ—ცხარობდა ა—ნი. თქვენ არ გინდათ შეიგნოთ, რომ ქალი და კაცი ერთნაირადაა გაჩენილი, თუ თქვენ მამაკაცები უყურებთ მზის სინათლეს, მთვარის კაშკაშს, რატომ ქალებიც არ უნდა ხედავდნენ—ღმერთმა სინათლე გააჩინა იმიტომ, რომ ვუმზიროთ მას და არა ძალით ვიბნელებდეთ თვალებსა, თქვენ მაჭმადიანი კაცები რამდენიმე ცოლს ირთავთ და თუ თქვენმა ქალებმა ვისმეს მრუდის თვალით შეხედეს—მაშინათვე დაითხოვთ ან მოჰკლავთ.

ამასობაში სადგურს დავუახლოვდით და დავშორდით ..

ნატანებში ერთად ჩავსხედით ეტლში ერთ გურულ შეძლებულ ვაჭართან ს—შვილთან.

— თქვენ საით მიბრძანდებით? შემომეკითხა ვაჭარი.—თქვენს გურიაში—მინდა რამდენათაც შევსძლებ დავათვალიერო ეს ჩვენი ქვეყნის თვალი. —ეჰ. ამოოხვრითა სთქვა ს—შვილმა—მართლაც რომ თვალი იყო გურია-მთელი ქვეყნისა, მაგრამ, წაახდინეს „ყაზილარებმა“ ჩვენი სახელი. ეხლა გურულს ცუდი თვალით უყურებენ ყველანი, აქვე მიამბო ს—შვილმა, თუ როგორ გაძარცვეს ის ამ რამდენიმე წლის წინ სწორედ ამ ადგილას.

ახლად გამოდარებული იყო. მზე ძალზე აცხუნებდა, გზის ორთავ მხარეზე გაცხარებული თოხნაა სიმინდისა, რომელსაც კარგი პირი უჩანს, თუ, რა თქმა უნდა, დარმა გასტანა და მოასწრეს გათოხნა, უკეთესი იქნება; უამისოთ კი, როგორც თვითონ გურულმა გლეხმა გვითხრა—სიმინდს ძალიან უჭირს ბატონოვო“. აქა-იქ მოსჩანდა ნიაღვრისაგან წალეკილი სასიმინდოები...

აგერ ოზურგეთიც. ეს პატარა ქალაქი სასწავლებლებით სავსე: სამოქალაქო სასწავლებელი, საქალებო პროგიმნაზია, სასულიერო და სხვ... ამ უკანასკნელის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ მოძრაობამდინ 400 მოსწავლემდე ყოფილა ახლა კი 60-ს არ აღემატება!.. ოზურგეთიდან ვაკისჯვარამდინ, 8 ვერსია—ეტლით წავედით, აქ უნდა ცხენი იქირაოთ და ბახმაროს წახვალთ. რადგან ჩვენ ბახმაროს არ მივდიოდით, მცირე შესვენების შემდეგ ს. ასკანისაკენ გავეშურეთ. გზა და გზა მთის ძირიდან გამოყვანილი არხები გვხვდებოდა, ამ არხებით 7—8 სოფელი ირწყვის და ნეტარ ხსენებული გაბრიელ ეპისკოპოზს ეკუთვნის ეს კეთილი საქმე. ასკანაშიაც რამოდენიმე სასწავლებელია საქალებო—სახელსაქმო—და სავაჟო—სამკითხველო, რომელიც აწ დაკეტილია. მშვენიერ ადგილას მდებარე ახლად გაშენებული ხის ეკკლესია, რომელიც 9 ათასი მანეთი დასჯდომიათ, თუმცა-კი ქვისაც ადვილათ შეიძლებოდა ამ ფულით აეშენებინათ, მაგრამ, როგორცა სთქვეს, ამავე სოფლის გლეხებმა „მეთაურმა კაცებმა გვიღალატეს, შესჭამეს ფულები ბატონოვო“... აქ ვესტუმრეთ მარტოხელა ქ-ნ რ. ჯ—ძისას, რომელმაც ბოდიში მოიხადა მარტო ხელობის გამო შესაფერი პატივი ვერ გეცით და შემოგვჩივლა: „რა ვქნა, ბატონო, ხელზედ მოსამსახურეს ვერა ვშოულობ, წამოიჩიტებიან თუ არა აქაური ბალღები—მაშინათვე კლასში გარბიან თავისად“... აქედან ასკანის ციხის დასათვალიერებლად წავედით.

ეს ციხე მდებარეობს მაღალ კლდოვან გორაზედ, ძირს მდ. ბახვი ჩაუდის. გარს ერთი მხრიდან გალავანი არტყია—კედლების ერთ ადლზე მეტი სიგანე აქვს. შიგ ოთხი უზარმაზარი ლოდია. სამი მათგანი აუზებადაა ამოჭრილი—ძირს წყლის გასაშვები ნახვრეტებიც აქვთ—მეოთხე-კი ზემოდან გაბრტყელებულია—მაგიდასა ჰგავს. ეს ყოფილა საზოგადო სატრაპეზო. ყველა ლოდებს ამოჭრილი აქვთ ზედ ასასვლელი კიბესავით საფეხურები. ერთ კუთხეზე ოდაა აშენებული. აქ უცხოვრია გურიელს—მეორე მხარეს აღმოსავლეთით შედგმულია ეკლესია, რომელიც ზემოდან დახურულია და ნახატებიც ეტყობა—აღმოსავლეთით ფანჯარაა დატანებული სადაც, როცა ბახმაროს მთიდან ამოცურდება მზე, პირველად თავის სხივებს აქა სტყორცნის ხოლმე. აქედან ჩაშვებული ქვა წუთ ნახევარს მოუნდა დაბლა წყალში ჩავარდნას. ეს ციხე იცავდა მთელ გურიას ახალციხიდან შემოსულ თათართაგან „აქ შემოხიზნულ გურიელს და ხალხს სოფლებიდას საზრდოს უზიდავენ—„დანარჩენი“ მცხოვრებნი—გვიამბო გლეხმა ჯ—ძემ. „ერთ დღეს ძალიან გაბრაზებულა თათართა სარდალი, რაკი ვერსადან შესულა ციხეში, ჩრდილოეთ მხრიდან მის დგომი მრავალი ცხენოსანი, რომელთაც უნაგირების კიბე გაუკეთებია და ისე ასულან ციხის კედლებამდიმ, მაგრამ შიგნით მყოფთაც არ სძინებიათ და ცხელი შანთებით დაუშანთავთ ამსვლელნი, ზოგისთვის-კიდევ ლორის ქონი გადმოუსხავთ...“ თუმცა აქნობამდინ გურიაში 100 ათასი მცხოვრები ითვლებოდა, მაგრამ დღეს 140 ათასს აღემატება.

ბევრგან ტყეები გაუჩეხიათ, მიუდგომელ ალაგას მისულან, გაუთოხნიათ და სიმინდი დაუთესიათ, ერთი მტკაველი თავისუფალი ადგილი სადაც უნახავთ, იქ სიმინდი დაუთესნიათ!.. წარმოიდგინეთ თვით ციხის გალავნის ერთ ბეწო ადგილზედაც სიმინდი იყო დათესილი!.. განა შეიძლება ამის შემდეგ ამისთანა ხალხს კაცმა ზარმაცი უწოდოს, როგორც ზოგიერთები უწოდებენ—ღარიბები ხართ იმიტომ, რომ ზარმაცები ხართო“ ზარმაცი კაცი 20 და 30 ვერსის სიშორეზედ სამუშაოდ არ წავიდოდა, როგორც ამას გურულები სჩადიან, მაღალ სერებიდან, სადაც ისინი მოსახლეობენ, ძირს ეშვებიან ნატანების ვაკე ადგილზედ სამუშაოთ, აქ მთელ კვირაობით რჩებიან ციებ-ცხელებიან ადგილებში, იხაშმებიან და უდროთ წუთი სოფლელს ესალმებიან!..

გურიაში ვენახებს, ეგრედ წოდებულ „ოდესას“ კარგი პირი უჩანს წელს. საკვირველი ის არის, რომ მთელი ეზო-ყურე გურულისა თხმელას ტყეს წარმოადგენს, რომელზედაც ვენახები გახლართულ გამოხლართულია. — თხმელას ხე თავის სისველის მიმზიდველობის თვისებით ძალიან მავნებელია ჯანმთელობისათვის... ნუ თუ ამის ადგილას არ შეიძლებოდა დაერგოთ ხეხილის ხეები, რასაც შედარებით იშვიათად შეხვდებით, თუნდაც აი თუთის, ბოლის ხე, რომელიც ფრიად სასარგებლოა აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად... ბოლოს ჩვენ დავათვალიერეთ დიდებული შემოქმედის ანუ ზარზმის მონასტერი, რომელიც ისეთ საუცხოვო ადგილას არის აშენებული, რომ თვით ინგლისის შვილს—ჩვენი ქვეყნის მოტრფიალე უარდროპს ანატრა აქ სიკვდილი და ანდერძიც დასტოვა დაემარხათ მის გალავანში, მაგრამ არ აუსრულეს ანდერძი და ბრიუსიან ინგლისის მიწას მიაბარეს... ვნახეთ დიდებული ზარზმის ღვთის მშობლის ხატები, რომელიც ახალციხის მაზრიდან ვიღაც მგალობლიშვილს გადმოუსვენებია, — რადგან იქ იმ დროს საფრთხე მოელოდა წმინდანებს. ერთი ბერი-გიორგი—აწებებდა დახეულ წიგნის ფურცლებს — ეს წიგნი სოფ. გურიანთის ციხის ეკლესიიდან გადმოატანინა ნაკაშიძემა. იქ სრულიად—უყურადღებოთ ყოფილა მიტოვებული სამღვდელოებისაგან—აგერ ეს მესამე თვეა ამაზედ ვმუშაობო — სთქვა ბერმა—შემდეგ ბათუმს უნდა წავიღო და შემოვაკრეფინოვო. ეს ხელთ ნაწერი ქაღალდი წონით სამ ფუთამდეა და ისე ჩინებულად არის ნაწერი, რომ ბეჭდურისაგან ვერ გამოარჩევთ 27 წელიწადი უწერია უსასყიდლოდ ვინღაც ნაკაშიძეს!.. ეს ცნობანი შიგ წიგნშია აღიარებული ..

ტრ. ი—ძე.

რუსეთი

◆ **სტატისტიკა.** მოსკოვის ქალაქის გამგეობის სტატისტიკურ განყოფილებამ შეადგინა ანგარიში მაისის განმავლობაში დაბადებულთა და გარდაცვალებულთა შესახებ. ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ მაისის განმავლობაში მომკვდარა 3,619,—11 პროცენტით მეტი, ვიდრე წარსული წლის მაისში. უმთავრესად დახოცილან ბავშვები სხვა და სხვა გადამდები სენით, ხოლო დაბადებულთა რიცხვი 14 პროცენტით გაზრდილა.

◆ **ხუთი წლის ქალის გაუპატიურება.** 23 ივნისს პროზექტორის საავადმყოფოში სასამართლოს გამომძიებლისა, პროკურორის ამხანაგის და მაძებარ პოლიციის თანადასწრებით გასჭრეს გვამი ხუთი წლის ქალის მარიამ ფოფანოვასი, რომელიც გააუპატიურა და ბევრი წვალების შემდეგ დაახრჩო ბალტიის გემთა სამშენებლო ქარხნის მუშამ ვას. კულიკოვმა. ექიმებმა შეამოწმეს რომ, ბავშვი ძალზე ნაწვალებია: სამშობიარო სული დაუგლეჯია, ტანზე დალურჯებული ადგილები და ნასისხლარები მოწმობენ, რომ კულიკოვი წამების დროს თან სცემდა ბავშვს, ხელებს უჭერდა და პირზე ხელს აფარებდა.

◆ **პოლონურ ენაზე ხელის მოწერის აკრძალვა** ამ უკანასკნელ დროს რამდენიმე შემთხვევა იყო, რომ ვარშავის სასამართლო პალატამ უკან დააბრუნა ბრალდებულების პოლონურ ენაზე ხელით-მოწერილი სააპელაციო საჩივრები. იმავე მიზეზით, რომ საჩივარი პოლონურად იყო ხელმოწერილი, უკან დაუბრუნა ვინმე ფ. ნოვაცკისა, რომლის ნაფიცი ვექილი უკმაყოფილებას აცხადებდა და საჩივარი აღძრა სენატის წინაშე ვარშავის პოლიციის ასეთ უკანონო მოქმედებაზე. ნაფიცი ვექილი ამტკიცებდა, რომ თუ ხელი მოწერილია ყველასთვის გასაგებ ლათინური ანბანით, იმის გადატანა რუსულ ენაზე საჭირო არ არის. ეს საჩივარი სენატში წარმოდგენილ იქმნა სამოსამართლო პალატის საშუალებით, რომელმაც გასინჯა ეს და დაადგინა, არ გაგზავნოს სენატში, ხოლო ნოვაცკის სააპელაციო საჩივარი მიიღო და გაარჩევს პოლონურ ენაზე ხელ-მოწერით.

◆ **გარტინგის მოადგილე.** ბრიუსელის გაზეთები იტყობინებიან, რომ გარტინგის ადგილი ბელგიაში ამ ჟამად დაიჭირა ცნობილმა ბროდსკიმ. ლიბერალურ „Soir“ და სოციალისტურ Peuple“ უთითებენ იმაზე, რომ ბროდსკიმ სამარცხვინო სახელი დასტოვა ფინლანდიაში და რომ ერთ დროს ბერლინში ჯაშუშად იყო და გაზეთები თხოულობენ, მთავრობამ განდევნოს იგი ბელგიიდან.

◆ **მენშიკოვის უმაღლესად დაჯილდოვება.** უმაღლესის ბრძანებით თანახმად სამხედრო მინისტრის მოხსენებისა პუბლიცისტს მენშიკოვს ებოძა დონის ყაზახთა მხედრობის ალექსანდროვის სტანიცის საპატიო ყაზახის სახელი.

განცხადებანი

GRAND-PRIX
ВЫСШАЯ НАГРАДА
БРЮССЕЛЬ 1905.
ОТЪ
ВЕСНУШЕКЪ
и ЗАГАРА
КРЕМЪ
МЕТАМОРФОЗА
Т^ва А. М.
ОСТРОУМОВА.
ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ.
Остерегайтесь поддѣлокъ. Требуйте настоящій КРЕМЪ Т-ва А. М. ОСТРОУМОВА.
ПРИ КАЖДОЙ БАНКѢ
БРОШЮРА „БОРЬБА съ ВЕСНУШКАМИ“.

Метцль и К. N 187602. (10—6.—7)

გამოვიდა და იყიდება: ტფილისში

წ. კ. საზოგ., მერკვილაძის, გადილიას, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქების წიგნის მაღაზიებში ალ. თუთაევის კომედიები, მიძღვნილი ქართული თეატრის მსახიობთათვის მათის სურათებით: „ცოლი ვიტირო თუ ფული“ მიძღვნილი ნატო გაბუნიასადმი, „უმარილის ბრალია“, გედევან გედევანოვისადმი, „ბედმა მიღალატა“ ვახო აბაშიძისადმი, „უშნო არშიყი“ და სხვ. თუ ვისმეს სურს, გაეგზავნება 25 პროცენტის გამორიცხვით. წიგნის ფასი 10-20 კაპ. ადრესი: ტფილისი (დიდუბე) **ალ. თუთაევი**. (15—8)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ვენ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—131

დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეების გარდა

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

ბ. გ. აგახაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ ს. ზილბერმანი: 6—6½ საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**.

მეაბრეშუმეებს

ლოჟიის

ფირმისაგან აბრეშუმის თესლების დაკვეთის სეზონი ახლაა, რადგანაც ახლა მზადდება ფაბრიკაში თესლები, ამიტომ გაუწყებთ ჩემს თანამშრომლებს (და მას, ვისაც ამ თესლების გავრცელება სურს), რომ დაუყოვნებლივ შემოიტანოთ თავის რაიონისთვის საჭირო დაკვეთა, უამისოდ მე თესლებს არ გამოვიწერ.

ფერცხანაყენევის, ზემო-ქვიტარის, მაღლაკის, საჩინოს, ბაღდათის, სვირის, თერჯოლის, საჩხერის, ჩხარის, სენაკის, ნოღალევის და სხვა საზოგადოებებში მსურს აგენტურის მოწყობა თუ შესაფერი კაცები, საიმედო პირობებში იკისრებენ საქმის წარმოებას.

პირობებს გაიგებთ შემდეგი ადრესით: იოსებ კაკაბაძეს, ქუთაისში. **ი. კაკაბაძე.** (6—6.—5)

სუფთა და ჩქარ წერას 00/00

ვასწავლი 10 გაკვეთილის მიცემით პირადად თუ წერილობით **დაჯილდ. უნივერსიტეტის ატესტ**, ოქროს მედლით მოწაფეების კარგი წერისათვის. ხუთ შვიდ კაპეიკიან მარკის გამოგზავნით ვაგზავნი საცდელ წერილს, შრიფტის ნიმუშებს და პირობებს.

Одесса, проф. каллиграфіи А. КОССОДО. Дерибасовская, д. Грузевича. (10—ფ—8)

კატალოგი

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ
საზოგადოების წიგნის მაღაზიის №

I

სასულიერო შინაარსის წიგნები.

1. იოსელიანი გ. საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, სურათებით, ტფ. 1909 წ. 40
2. მისივე ლოცვანი ტფ. 1910 წ. 20
3. ძველი ათქმა, ხუთი წიგნი მოსესი ტფ. 1900 წ. 50
4. ფსალმუნი. ტფ. 1901 წ. . . . 10
5. ახალი ათქმა. სახარება. საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი. ტფ. 1879 წ. . 40
6. სახარება.

II

მოთხრობები, ლექსები, პიესები.

7. აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული. ტფ. 1908 წ. . . . 40
8. ანდრეევი ლ. ადამიანის ცხოვრება. ტფ. 1907 წ. . . . 50
9. ბარათაშვილი ნ. ლექსები, „სორაპნის“ გამოცემა. ტფ. 1910 წ. 10
10. გვარამაძე ივ. თამრო ჭარამხანაშია. გურიის ცხოვრებიდან. ახალციხ. 1906 წ. . . . 20
11. გლახაშვილი ს. წყურვილი. დრამა 3 მოქ. 4 სურ. ტფ. 1910 წ. 30
12. გვაური. ლექსები. ქუთ. 1908 წ. 20
13. გიოტე, ფაუსტი. დრამატ. პოემა. ნათ. პ. მირიანიშვილისა. ტფ. 1909 წ. . . . 1 მ. 25
14. დუტუ-მეგრელი. წიგნი I ლექსები. ტფ. 1909 წ. . . . 70
15. ერისთავი გ. გაყრა, 4 მოქ. კომედია. გამოც. „სორაპნისა“. . 5
16. ვაჟაფშაველა. ცრემლები. 1909 წ. 50
17. ზღაპრები II, ქალთა წრის გამოცემა. . . . . . 1 მ. 30
18. თუთაევი ალ. ქართული პიესები ტფ. 1909 წ. 20
19. იერეთელი პ დამარცხებულნი. დრამა 5 მ. ტფ. 1908 წ. . . 30
20. მისივე ქრისტინე, დრ. 5 მოქმ. ტფ. 1909 წ. 20
21. Избранныя стихотворенія А. Церетели, съ предисловіемъ А. Хаханова. Моск, 1903 г. . . .
22. მოლიერი. დრამატ. თხზულებანი. გამ. „სორაპნ-სა“. ტფ. 1909 წ. 5
23. ნიშად. კრებული. ტფ. 1909 წ. 15
24. ნავთლუღელი შ. შრომის დროს ამონაკვნესი. ლექსები. ტფ. 1908 წ. . . . .
25. ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა. ტფ. 1909 წ. . . . . . .
26. მისივე ჩვენი ქვეყნის რაინდი. ტფ. 1909 წ. 20
27. მისივე გოგია უიშვილი. ტფ. 1909 წ. 5

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლის თვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავ ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენ რეების **საუკეთესო თესლის** გა ზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნ ლის ხელის მომწერლებს წლის და ლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასო** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნე ბის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Бар тинская 5. Редакція „Мосавали“

— ● CARVER COTTOH GIN CO, EAST BRIDGEWATER, MASS. ● —

კარვერ კოტონ ჯინ და ამხ. ბრიჯვატერისა

✦ ამერიკაში ✦

ა ფ ვ დ ი

ყოველ-გვარ მანქანას ბამბის დასამუშავებლს, როგორც: ხელით სამუშავებელი და მოსამართი ჯინები ყველა ზომისა, ლინტერები და სხვა. სრული მოწყობ ბამბის გასარჩევ ქარხნისა პნევმატიურ მოწყობილებით.

ერთად-ერთი წარმომადგენელნი მთელს რუსეთში

სავაჭრო სახლი ძმ. სტეპკუნები ბაქოში

განყოფილებანი: მერვსა, კოკანდსა, **წარმომადგენლები:** ტაშკენტსა, ბაფრუმსა (სპარსეთი, ადმინ. **პოლაკ** და ამხ. ტფილისში, ტელეფონი N 27. სატეხნიკო სახ. **ე. გ. პისერისა** ტფილისში, ტელეფონი N 687. (ტ. 10—10)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა

„რ ო ზ ა“

(„ვარდი“)

ტფილისი, უჩების შესახვევი, № 5 ტელეფონი № 602.

საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან (100—ტ.—36

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა.